



საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
„ანარმეო საქართველოში“ დირექტორის
ბრძანება



KA020190784223320

№ ს-61

17 / ნოემბერი / 2020 წ.

სახელმწიფო პროგრამის „ანარმეო საქართველოში“ მიკრო და მცირე
მენარმეობის ნაწილის ფარგლებში განაცხადის/პროექტის შეფასების
გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის № 365 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამა „ანარმეო საქართველოში“ 12³ მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 მაისის № 1-1/217 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანარმეო საქართველოში დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

გბრძანებ:

1. დამტკიცდეს სახელმწიფო პროგრამის „ანარმეო საქართველოში“ მიკრო და მცირე მენარმეობის ნაწილის ფარგლებში მენარმე სუბიექტის მხრიდან განაცხადების/პროექტების შეფასების გასაჩივრების წესი.
2. მენარმე სუბიექტის მხრიდან განაცხადის/პროექტის შეფასების გასაჩივრება ხდება სპეციალური ფორმის შევსებისას (დანართი #1), რომელიც უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელ-ფოსტაზე: info@enterprise.gov.ge.
3. საჩივრების განსახილველად შეიქმნას საჩივრების განმხილველი კომისია (შემდგომში კომისია) შემდეგი შემადგენლობით:
 - ა) მიხეილ ხიდურელი – სააგენტოს დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
 - ბ) თორნიკე ზირაქიშვილი - სააგენტოს დირექტორის მოადგილე, კომისიის წევრი;
 - გ) ვლადიმერ ჩხარტიშვილი - სააგენტოს დირექტორის მოადგილე, კომისიის წევრი;
 - დ) ირაკლი გაბრიაძე - სააგენტოს დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;
 - ე) ლაშა ბოსტაშვილი - სააგენტოს მენარმეობის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
 - ვ) დავით მამარდაშვილი - სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
 - ზ) მარიამ ჩაკვეტაძე - სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის იურისტი, კომისიის წევრი;
4. საჩივრების განმხილველი კომისიის სხდომის მდივნად, ხმის უფლების გარეშე, განისაზღვროს სააგენტოს მენარმეობის დეპარტამენტის საგრანტო პროგრამის მენეჯერი - ირინე გიორგიძე.
5. გასაჩივრების და საჩივრების განხილვა მოხდება სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 22 სექტემბრის № ს-44 ბრძანებით დადგენილი ვადების შესაბამისად.

6. სააგენტო, კომისიის მიერ საჩივრის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში კონტრაქტორს ხელახლა შესაფასებლად უგზავნის განაცხადს/პროექტს. კონტრაქტორმა განმეორებითი შეფასება უნდა განახორციელოს 3 სამუშაო დღის ვადაში, ექსპერტის მეშვეობით, რომელიც არ მონაწილეობდა გასაჩივრებული განაცხადის/პროექტის შეფასებაში.

7. სააგენტო, კონტრაქტორის მეშვეობით დასაშვებად ცნობილ განაცხადზე გადაწყვეტილებას აცნობებს მენარმე სუბიექტს, არაუგვიანეს განხილვის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.


8. ბრძანების შესრულებაზე ზედამხედველობას განვახორციელებ პირადად.

9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის: 0105 ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2 (იუსტიციის სახლი, ყოფილი ენერგეტიკის სამინისტრო).

დანართი: საჩივრის ფორმა 1 (ერთი) დოკუმენტად.

სსიპ-ის „ანარმე საქართველოში“
დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

მიხეილ ხიდურელი